
ნახ. ჯ. ლოლუასი
ეროვნული ბიბლიოთეკა
ალიგეგ
4
1963
ჰკითხეთ ერთი ამ პარაზიტს.
რომ არასდროს უშრომია,
ეს ქონება, ეს სახლ-კარი
მაშ საიდან უშოვნია?!
№ 15
თბილისი აგვისტო
1963
ბარბარე
გაფრცელების 41-ე წელი, ფასი 20 კაპ.

უფალო, შეიწყალენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა და მართლა არამრავალთა ღვთის მოსავთა, მღაღადებელთა, მლოცველთა, უფლის მონათა და მსგავსთა მათთა, დაააუფლებლად გულისა, დასავანებლად სულისა, ზეგარდმო გადმოსულისა, მოსატევებლად ცოდვათა, განსარინებლად ცთუნებათა, საამებლად თვალთა, დასატკბობად ყურთა, საამბორებლად ბაგეთა, მოსართხმელად ფერხთა, მოსაყრელად მუხლთა, ასალოკად იატაკისა, ხატზე გადასაცემად ათვალისწუნებული მოყვასისა, აღსადგენად შარშანდელი თოვლივით გამქრალი სიყვარულისა, საცხონებლად გარდაცვალებულისა, მოსახვედრად სამოთხისა, თაიგულად იმედისა, რისხვად მეზობლისა, შესაწირად ფულისა, მტრედთა და ქათამთა, მამალთა და ცხვართა, მოზვერთა და უმობელთა არის აფხაზეთსა შინა ეკლესია ერთი, ილორის წმიდა გიორგის ეკლესიად წოდებული, ხატულ-ხატულა ხატებით შემკობილი, კედლებმოხატული. წმიდად იწოდება ადგილი ესე, მაგრამ არა არს რა წმიდა საქმეთა შინა ზოგ-ზოგთა მსახურთა ეკლესიისათა, რამეთუ სარგებელი და სარფა ახშობს ღაღადებას ეკლესიასა შინა და, ასევე გარეთა, რამეთუ უოფლოდ და უშრომლად, თავისუმტვრევლად და გაუჭირვებლად მოდის და მოდის ნამრომი და ნაჭირნახულევი გარედანა. ალბათ, ამიტომაც გადის და იხარჯება იგი ძირითადად და უმეტესად ეკლესიის გარეთა, ღვთისმონათა ნების დაურთავად და ანგარიშის გაუწევლად. ეკლესია ილორისა ძეგლიცაა ისტორიული, რამეთუ არქიტექტურა მისი და მოხატულობა მისი ღირებულია ფრიად და დაფასებულიც ფრიად, თანახმად ღირსებისა მისისა. შემოსავალი ეკლესიისა მისისა უნდა ხმარდებოდეს ძეგლსა ხსენებულსა და სხვათა ძეგლთა, მათთა რესტავრირებასა და დაცვასა ქარისა თუ ხორშაკისა, ოვლისა თუ წვიმისა, მაცთური თუ ბოროტი ხელისაგან, მაგრამ მსახურნი მისი და დამცველნი მისი, რა ბუნდა, ზოგ ზოგთა გამოკლებით, ასე ამბობენ, ჯერეთ თავო და თავო და მერე ღმერთო და ტაძაროო, . და, ამგვარად და შესაბამისად ამისა, იყოფენ თხათა და თიკანთა, მამალთა და დედალთა, ხბოთა და უმობელთა, ფულთა და სხვათა შემოწირულებათა უსისხლოთა, მერე აირევიან ერთი მეორეში, ვითარცა მშენებელნი ბაბილონის გოდოლისა, ერთი აქეთ ეწიწება, ერთი იქით და არის მრავალი გაწამაწია და ვაი-უშველებელი, მშვიდობა დედამიწასა ზედან და ურვა ტაძარსა შინა.

კათალიკოსმან აფხაზეთისამან ლეონიდმა ღაღადჰყო, წესრიგი იყოსო ტაძარსა შინა, გაყარ-გამოყარა წამგლეჯ-წამძლეტები, დააყენა სხვანი, ვითომ უფრო თვინიერნი და პატიოსნებასთან წილნაყარნი, შემოიღო წესად ილორის სასაკლაოსთვის შთაებარებინათ შემოწირული საქონელი და ღონისძიებებამან ამან ერთ ხანს თითქოს გაზარდა შემოსავალი ტაძრისა, მერე არ მოიწონეს ამბავი ესე სხვათა და სხვათა და ისევ აირია მონასტერი. ზოგს ხელში დაუჭირეს ნაჭურდალი, შეუყენეს აქტი, და განაძეს ღვთისმსახურებისაგან, ზოგსაც დაესხნენ თავზე, ააფეთქეს კინაღამ, მოუნდომეს გაყენება გზასა უფლისასა...

ილორის წმიდა გიორგის ეკლესიასა შინა წარამარა იცვლებიან მცველნი და მსახურნი, რამეთუ შური და მტრობა მიწიერი სიკეთით გატაცებისა თანამგზავრი არს და სულიერ განწმენდილობასთან არა აქვს რა საერთოდ საერთო. არა სიყვარულითა ღვთისა და სარწმუნოებისა, არა დასაცავად ძეგლისა უნიკალურისა, არა ნუ გეშინის საცემლად მკვდარსა ზედა, არა წაწყმედილთა და ღვთისაგან განდგომილთა მოსაქცევად, არა დასამკვიდრებლად სასუფევლისა მათთა, არა მოსატევებლად ცოდვათა მათთა, არამედ სააქაო განცხრომის მოსაპოვებლად და ცოდვათა განსამრავლებლად, ყოველდღიური ულუფის გასადიდებლად და ლართა მოსახვეჭად ეხვევიან ცხვრისა ტყავსა შიდა სხვანი და სხვანი და ეძებენ „სამუშაოს“ ეკლესიასა შინ და ღვთისმონათა და ღვთისმოსავთა ნიღაბითა ხვეჭენ ლარსა ამა ქვეყნისასა. და ფცქვნიან ადვილადა მოსატყუებლად განმზადებულთა და განწყობილთა, მაგრამ, ვითარცა მახათი ხალთაში არ დაიმალების, ისევე ქურქი ცხვრისა ვერა მალავს მგლობას მგლისასა და აშკარად ავლენს მისსა ბუნებასა.

თანახმად მოსაზრებათა სხვათა და სხვათა, რათა მოსახლეთა ილორისა ერთი მეორეს აღარ გამოსჭრანო ყელი, რატომღაც ჭუთაისელ მოქალაქეთ სწირავენ განტევების ვაცად და ნიშნავენ უფროსად დაცვისა, ასე განსაჯაო წმიდა გიორგიმ, შენდობა ექნებათო მეტი. თვინიერ ამისა, თუმცა ილორის კოლმეურნეობის მინდვრებსა ზედან ილორის სამწყსოსა ისე ბლომადა აქვს საძოვრები ცხვართა, თხათა და ძროხათათვის, რომ მეზობელი კოლმეურნეობანი მისსა საძოვარსა ზედან აძოვებენ ფარათა და ჯოგთა საქონლისათა და აღარ შეადგენს არავითარსა სიძნელესა შემოწირული საქონელი სახელმწიფო ფასებში შეიძინოს კოლმეურნეობამ ამან და გაზარდოს და განამრავლოს ისინი, მაგრამ, რატომღაც და როგორღაც, მოსაზრებათა ნაირ-ნაირთა თუ ერთადერთისა წყალობითა, სხვათა და სხვათა ხელმძღვანელთა ჩარევითა და მეშვეობითა, ცხვირწინ მდებარე კოლმეურნეობას ილორისასა უარი ეთქვა საქონლის ჩაბარებაზე და კარნახითა უზენაესისა რწმუნებულისა, უფლება ესე მიენიჭა კოლმეურნეობასა ჯგერდესი, რომელიც მდებარეობს, თუმცა არა ცხრა მთას იქითა, მაგრამ სულ მცირე ორმოცი კილომეტრის მოშორებითა. ჰოდა, როგორცა იტყვიან — ხმანი ბოროტნი და საგოლგოთონი, ილორიდან გაყვანილთა თხათა და თიკანთა, ცხვართა და უმობელთა სულ მცირე და მცირე რაოდენობა აღწევს ჯგერდემდინა, რამეთუ შორი არს გზა და ნიავიანი და ნიავდება იგი მასა გზასა ზედან. და არა იცის რა საქონელმან მან, რატომ განარინეს იგი კეთილსურნელოვან და ლორთქო ბალახსა ილორისა და აყლაპინეს ნერწყვი კილომეტრისა ორმოცისა მანძილზე, რათა გამასპინძლებოდნენ, თუ უარესის არა, მაინც არა უკეთესის ბალახითა. დუმს მატიანე დღემდინა, ვისის განგებითა მოხდა ესე, წმიდა გიორგისა ნებართვითა თუ იესო ქრისტესი — შუამდგომლისა კაცთა და ღმერთსა შორის.

უფალო, მიხედენ ეკლესიასა ამასა და დაამყარენ წესრიგი საჭირო და საკადრისი, ხოლო იმათა, ვინცა ჩაიდინეს ცოდვანი შენი და ადამიანთა წინაშე, მიუტევენ ცოდვანი მათნი, რამეთუ არღა იციან, რასა იქმოდენ.

მ. ქარჩავა
ი. გერსამია

ნახ. ე. ჭყმბაურიძისა

— როლს მაძლევენ სპექტაკლში.
— როგორ, ყველა მსახიობი შვებულებაშია?



უმაღლესში „მოგწყობნი“

ცოდნის გაუნელებელმა წყურვილმა ჯავრიდი ჭითანავა ზუგდიდიდან თბილისში ჩამოიყვანა.

— ჩემი შვილი აუცილებლად ინჟინერი უნდა გამოვიდეს, ენაცვალოს დედა, მაგაზე უკეთესები არიან უმაღლესდამთავრებულები, თუ რა? ვთქვი და გადაწყდა — რადაც არ უნდა დამიჯდეს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უნდა მოვაწყო.

და დედაც გამოყვა სწავლამოწყურებულ შვილს თბილისში. იცოდა თამარმა, თუ რა ჭკუისკოლოფიც იყო მისი ვაჟი და ამიტომ ფული იგულა.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და, რა ღმერთი გაუწყრება, ინსტიტუტს არ მოფინოს სინათლეო. უტრიალა აქედან, იქიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის კარებს თამარმა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. თითქმის იმედდაკარგული ამაგდარი დედა პუშკინის სახელობის ბაღში სასოწარკვეთილი შევიდა. თითქოსდა მიწიდან ამოძვრაო, თამარს ანგელოსივით გამოეცხადა მისი მეზობელი ვალერიან ბექიას-ძე ქირია.

მოიკითხეს ერთმანეთი, ბოლოს თამარმა თავის გულისწუხილის მიზეზი გაუმხილა. ვალერიანი შეწუხდა ფრიად და შემდეგ ამოღერღა:

— მაგ საქმეს მოევლება, მხოლოდ, ხომ იცი...

—რამდენია საჭირო? — არ დაამთავრებინა სიტყვა თამარმა.

— მართალი გითხრა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწყობა ნიხრით რამდენს ითვალისწინებს, არ ვიცი, მაგრამ არც ეგ არის ძნელი საქმე, ახლავე გაგაცნობ მაგ საქმის სპეციალისტს. — თქვა და ლანდივით გაქრა ვალერიანი.

სულ ცოტა ხანში თამარის წინაშე მეორე მხსნელი ანგელოსი იდგა.

— გრიგორ გრიგორიჩ ესებუა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, — გააცნო ვალერიანმა თამარს ახალმოსული, რომელმაც მართლაც და შეიფერა ვალერიანის მინიჭებული პროფესორობა.

— მართალია, ქართული და რუსული ენის ლიტერატურის კათედრაზე ვარ, მაგრამ საგამოცდო კომისიის წევრი გახლავართ, — უფრო დააკონკრეტა თავისი მდგომარეობა ესებუამ. — რომელ ფაკულტეტზედაც სურს, იქ მივაღებინებ, მეცადინეობით თავს ნუ შეიწუხებს, სიცხეებია და შეიძლება ბავშვი დასუსტდეს; მე ყველაფერს გავაკეთებ, ფიქრი ნუ გექნებათ.

ბოლოს საკვანძო საკითხზე გადავიდნენ.

— რა დაჯდება? — გაუბედავად იკითხა თამარ ჭითანავამ.

— ნიხრით ოცდაათი ათასია, ნუ შეშფოთდებით, ეს მხოლოდ ძველი ფულის კურსითაა, — ანუგეშა „პროფესორმა“.

გაჩაღდა ვაჭრობა, როგორც იქნა, გრიგორ გრიგორიჩმა დაუკლო ხუთი ათასი მანეთი. ვალერიან ქირიამ შუაკაცობა იკისრა და თამარს შეპირებული თანხის ნახევარი გამოართვა „პროფესორისათვის“ გადასაცემად, ხოლო, როდესაც გამოცდების დრო დადგა, ვალერიანმა დარჩენილი ფულიც მიიღო.

მართალია, დაიმედებული იყვნენ დედა და შვილი, მაგრამ თამარი მაინც ღელავდა. შიში საფუძვლიანი აღმოჩნდა. ჯავრიდი შევიდა გამოცდაზე და გამოვიდა ისე, რომ გამომცდელებისათვის არაფერი უთქვამს. მეორე გამოცდაზე კი ჯავრიდ ჭითანავას უარი უთხრეს.

გრიგორ გრიგორიჩი კი წარბსაც არ იხრიდა და არწმუნებდა დედა-შვილს, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. გამოცდები სიყვარულივით, როგორც მოვიდა ისე წავიდა. აბითურიენტების ნაწილი აუდიტორიებში აღმოჩნდნენ, მათ შორის არ იყო ჯავრიდი ჭითანავა. აპილპილდა თამარი და ეცა გრიგორ გრიგორიჩს და ვალერიან ქირიას.

— თქვენ თურმე არ მუშაობთ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში!

— რაო? რა მითხარით? არ ვმუშაობ? კი მაგრამ, ხომ ვმუშაობდი. აი, შეხედეთ, მე დოცენტი ვიყავი, მე ახლა პენსიონერი ვარ, მიცნობენ, ავტორიტეტი მაქვს, მე ყველაფერს შევძლებ, ხომ იცით, რა პატივსაც სცემენ პენსიონერებს, მაცალეთ პაწაც.

ახლა სწავლამოწყურებული ჯავრიდი და ამაგდარი დედა მოსკოვს გაფრინდნენ, იქნებ იქ მოვაგვაროთ საქმე და შემდეგ უფრო ადვილი იქნება თბილისში გადმოყვანაო.

მოსკოვში ვალერიანმა კიდევ ვიღაც უცნობი გააცნო, ეს არის, რაც არის, ამან უნდა აგვაშენოსო. შენ „სახარჯო“ დამიტოვე, თბილისში წადი და ჯავრიდი თუნდაც სტუდენტი ყოფილაო.

დაიჯერა-თამარმა და გადმოფრინდა თბილისში, მეორე დღესვე ნახა „პროფესორი“ გრიგორ გრიგორიჩი და ფული მოითხოვა.

— მე თქვენი ფულის კაპიკიც არ მინახავს, ნაწილი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს მივეცი, ნაწილი კი ვალერიანმა გამომართვა. აი, ხომ ხედავ ამ კაცს, — და ესებუამ უცნობი წარუდგინა, — ეს გახლავთ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, ელაპარაკე, გაიცანი, გაისად აუცილებლად ჩარიცხავს ინსტიტუტში, წელს კი ცოტა გაუგებრობა მოხდა.

მაგრამ თამარს უკვე აღარაფერი სჯეროდა. ამას ისიც დაემატა, რომ მოსკოვიდან ვერაფერი კარგი ამბავი ვერ ჩამოიტანა ვალერიან ქირიამ. მხოლოდ მანაც დააიმედა, გაისად აუცილებლად გავაკეთებ მაგ საქმესო.

წუხს თამარი, ჯავრობს ჯავრიდი, იცინის ვალერიანი, იღიმება გრიგორ გრიგორიჩი.

ვნახოთ, ვინ გაიცინებს ბოლოს.

ვ. ნიკოლოზიშვილი

ნახ. ლ. დუნდუასი

— გეტყობა, ძალიან გიყვარს ღვინო!

— მე კი მიყვარს, მაგრამ ღვინოს არ ვუყვარვარ, სადაც დიდი ტალახია იქ მაკვრევინებს ხოლმე ცხვირს.

ნახ. ნ. მალაზონიისა.

— ჩვენი მეზობლის ვაჟი სულ ვარსკვლავებს ეთამაშება.
— ასე ძალიან ლამაზია?
— არა, კონიაკი უყვარს ჩვენსავით!

დალიე და დალიე...

— დალიე, არდალიონ, შეგერგება! — ბრძანებასავით მოსმახალა თამადამ.

— ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ!

— შე კაცო, მე რომ ფსკვნ, ნინდა თუ?! — ამ ვინდა და ნუ დალიდ! — შეიდგაძი ბეგეი ზეგ.

— მატეოსაცეცა ნინდა მე შენი...

— თუ მატეოსაცეცა ვინდა, ნუ დამალეკინეგ!

— მაწყენინე, ძმობას გაფიცებ... ეკლიდებით, ეს!..

— რაკა ეგრეა, ხელი ეს ტაკაკე მიქეს და ღვინო ფსკერამდე დაფიფცეთ.

— ეს!..—ვოქვი და ყიურებამდე გავიიეზი.

— ეგ რაკა დასაბოგეტელია! — ვამბანინეგ თამადამ და თვალით შეეხნნეველი ღვინის წყეიეში ანინწნა.

— დაიკარი ცერზე! — დროოული რჩეკა შეგიმბიგაზა ეიდიკან.

დაეიკარი ცერზე!

თამამად ახალი სასმინი გადმოთარია და ბეგეერს მოხათრეკლად შეეხეარი. სასმინის ოთხი ჯიხეს თავი ჰკონდა და რატომღაც მაინეკლაბანე ერთს ჰკონდა ბარი. შერთინ შეეყერეკდეი ეპირო ჯიხეკეს.

— არდალიონ, დალიე! — ალტერაციაა მოსწონდა თამადას...

— არდალიონ! არდალიონ!... ეინ ეგ-ბაკმა დამარეკა ეს სანეკი. დალიონი ბანნეკ მერტკეს, — ბკეოსა და ოკეკიოსს შორის მიეკიტნეეს ანარი. — ეინდა და-ბატეკეინეს. წეკეს... არ დავლე! — ამეკეიოტა თამამი ანარი.

— ბკეომარკოს ლამაზ ბიჭეკას... ჩვენს მაწა-ოკეკოს... არდალიონ, დალიე!.. — მოისმინა თამადის ფეხკარა ხმა.

— მე რომ მოკვდე, ამით რა მიემატება საქართველოს და მის ხალხსას.

— კაცი, რომელიც ამ საფლავიანაკეკოს არ სვამს, არ არის კაცი, — დიაწეკო ზ.ალიანოვის ლექკია თამადამ. —ეს არ

არის კაცი და არა მარტო კაცი, ის საერთოდ არადერია... ასეა, კი!..

ცხადია ოთხივე ჯიხეს ცეროზე დაკეკეურვინე თავი, რის გამეც ტაში დეეიმსახეიე.

— ეი ამ ბატარა ჭიკეი და დიდი ბეკლით, — წამოიწეკო თამადამ და ნახეკვანილტარნაინი ქილიდან ზაპარსნენიდეი მეტრანის ეეკეინა ვადმოასხა, — ვაეემარკოს ჩვენს მეორე ნახეკრეს. ეს არის ისტორიეკეი ეკაპარალია, ბაი ეენდი ეერეკაა ჩვენი პირველი ნახეკრეკი. აბა!

— ეერ დავლევ... — საკოდავად მოვიბეზე.

— დალიე!

— არ შეგიძლია, ბატონო, და მომკალი თუ ეინდა!..

— გაფიცებ პირველ ნახეკრარს!

— არ ეეკეიეკა!

— დალიე, არდალიონ. ეკიეკეს! ეკ ჭკონდეს! ადგილი... დალიე!..

დაკიბინენ. ისევ დაფიფცეთ და ყიურებამდე გაღიმეეზეულმა ცხეერი მეტრანის ეეკეინთ ეპრეკეკეულ ქილაში ჩაეხალე.

— როკა ეკის მოვედი, ეკსკეფრეკეული თამადაც სამპარილიან კიბიკეს იძლეკინდ.

— მშობლებმა რაკა დამაშეკეს, ეკ მითხარით ეერთი!..

— არდალიონ, მშობლების ხათრით! — შეეეკალი არეკეშენტი მოაყოლა თამადამ ეკიკეს.

— ედედამ მოხოკა არ დალეთო...

— არ ეიკი მე ეკ ფილოსოფეკი! —გაეირეკეულდა თამადა.

ფარეკა ბასს მეკოხეკ ბკოს მიბპეკნილი თვალები და, როგეა კისრის ეარეკეეეს ამტკიდა, ეკიეკე გამოიკალა...

— არდალიონ, დალიე, დალიე და დალიე... — წამოიეიწეკე გასაკეკეკელი სიმღერა.

— სიმღერას, ბიძია, ეეეინს სმა ეერჩიეოს! — ფრაზე ამირჩია პროფესია მაგალეს ბოლოს ეკდარჩა კაცმა...

— არ დავლევ! არ დავლევ! არ დავლევ!

— ისტერიკეკეი ყეარიეთ! არ ეიკი რა ფრაზ, ბეგიმეკეე საკეთარი სახლეს კარეკში და ხელ-ფეხის საკეკეი კაბკალი ამიგარდა.

ჩეკმს დანაბეაზე ცოლსა ეიეერა:

— ეაკეკედი, არდალიონ!

— არ დავლევ! — ეერთხელ კიდევ წამოვიეკვირე. ბაეეკრის მოტერიეთი ამბრრიგიდა გეკლი და გამოშეტერილი თვალები წინასწარ მოშზადებულ ზეკლის შეემს მიეკაპკარ, რომელსაც „კარდი“ ახეოდა და მარტო „ამინ“ შერჩენოდა.

ბ. მარუშაგილი

კარლო ისაკის-ძე მედოლაშვილი პირველად მაშინ გაიარეცხა სინდოს-ნამუსისაგან, როცა სოფელ ნამიანის (ბურჯანის რაიონი) მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა — მყიდველების ხარდას არ უბრუნებდა. გამოჩნდა გულმოტკივარი მყიდველი და მოოდლერსა: ასეთი მხარეეეანი ვეყაკეი ხარ, რატომ კადრულობ მაგ ვიწრო დახლში ჯდომას და კაპიკობით ხარდას შეგროვებასო, გამოდი სუფთა ჰაერზე, მაღაზიის კარებთან დადგე, შე კაი კაცო, ხელის გაშვერის მეტი არა დაგჭირდება რა, ყველა გამგელი ჩაგიყრის ხელში ხარდასაო.

ეს, რა მოსცეია ჩვენს კარლოსაო, შეიცხადეს ბიეოოლებმა და ბიძეებმა, ბებიებმა და ბაბუებმა, დეიდებმა და მამიდებმა, ნათლიებმა და მირონებმა.

— ბებია მოოკვდეს კარლოს, თუ აქ მუშაობა გაკადროო.

— ნათლია ენაცვალოს ჩემს კარლოს, თბილისში გადავიყვან სამუშაოდო.

— ჩაწერილი რომ არ არის თბილისშეო?

— რა დიდი ვეყოლებინ ჩემს კარლოს, თუ ესეიც არ მოვუფახრაკეო!

გაკეთდა ტრიბითი ჩაწერა თბილისში, ფიროსმანის ქ. № 18-ში. დანიშნულ იქნა კარლო მედოლაშვილი თბილისის № 12 გასტრონომის გამყიდველად. ნათლიებისა და მირონების მოხერხებულობას უნდა ვუმადლოდეთ, თორემ ტრიბიეთ ჩაწერილ კაცს ამ თანამდებობაზე ვინ წაიკარებდა! აქ დაიწყო კარლოს სინდის-ნამუსისაგან შემდგომი განშორებაც: მე ბორისი მქვიაო, მოატყუა მან 92-ტე სამუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე გოგონა ლ., სული კბილით მიჭირავს, სანამ შენგან კაი სიტყვას გავიგონებდეთ. მეორე დღეს სკოლაში მიმავალს აეკიდა, მერე ცირკში მიმავალს გაპყვა, მერე გაიუპატიერა და გაპქრა. ეძება ლ-მ „ბორისი“ და მონახა კარლო მედოლაშვილი. ეკერეს თავი კარლოს სადაც ყური არს.

გაიმართა ბებიების, ბაბუების, დეიდების, მამიდების, ბიეოოლების, ბიძეების, ნათლიების და ეკთილების დაესწრებელი თათბირი.

კარლოს მისი მოკეთენი

— ვიღუპებითო, რა ბიჭი გვეცლება ხელიდანო!

— ვაიმე, კარლო, ენაცვალეო, უნდა ვეუშველოთო რამეო!

— როგორ ვუშველოთო, მისი ჭირიმეო!

— მე ვიცი.

— რა იცი, ჩემ გამოხარე მიბაცალებული ვეფლ...

— შეეთათხნმოთ. რამენაირად, მილიციაში განცხადებ შეეტანოს, რომ ვითომ მას და კარლს შორის ყველაფერი თანხმობით ოხდეო და ცოლქმრობა უნდოდათ.

— მერეეო?

— მერეეო და კარლს დავეიხსნითო, ლ. კი კანონიეერ ... ეძებენ და, რომ გავაგდოთ, ვინ რ... ...ბსო!

— კარგეა, შენ ... ...ალეო!

— ჭკეთს კოლოსხარ, შენი ჭირიმე, შენნო!

— ასეც იყოსო!

ყველაფერი ... ...ბრაკდა, როგორც თათბირის ... ...დაწყვეტილებაში იყო ჩაწერილ ... ...ილიციაში განცხადება შეეტანა. ... ...ციდან კარლო გამოვიდა და ... ...ეთვის შემდეგ ლ. სახლიდან ... ...ვიდა.

რა აკეთა კარლ... ...ის შემდეგ? ხომ არ შერცხვა? ... ... არ მოიკვდეთ! სირცხვილ-ნამუსი ... ... მიაშავა ბედშავს! თურმე სამ... ... მარჯვენა თეფშზე გირავს რომ ... ...და ცალი ხელით, მეორე ხელით ... ... თეფშს ძრთზე კარგა მოზრდილ ... ...ტს აკრავდა. ანე ირეკხავდა სინდ... ...ოს კარლო, სანამ კიდევ ერთი გულმტკივარი მომხ... ...ელი და ხელში არ სწევდა. მოოკალ... ...მაშინაც: ცოდო ხარო, ხარიეეთ კა... ... გაქვსო, ყანებში უნდა ბუდრაობდ... ...ლი, შენ კი ათასი წერილ-ინანებინ... ...ბენო, აქეთ გირები უნდა აწყ... ...ბარზე, იქეთ გრამობით უნდა ... ... პროფუტკრო, თან სხვა წერილ... ...ქმე გაუნინე თავსაო, რაღაც მაგნიტს დაუწყეო თამაშე, ბბა რა სიამოვნებას ნახავ ამაშეო.

ამის შემდეგ კარლოს მაღაზიაში ალარ გაუჭაჭანებია. ბებიებმა და ნათლიებმა თავი ჰყავდეს კარგად და, რა უქნირს, უქმად ვერ იხეტიალებენ? საქმელს არ დაკარგენენ და სასმელს, ხოლო სინდის-ნამუსიდან გარეცხვა თუ დასჭირდა, ეს ყველან მოხერხდება.

ამჟერად ოქემსმეტი წლის გოგონას ო-ს წარეოდა კარლო და თავი ისევ ბორისად გაიცნო. სული კბილებით მიჭირავს, სანამ შენგან კაი სიტყვას გავიგონებდეთ. მოატყუა და ერთ-ერთ ნათლიასთან ჩაიყვანა რუსთავში. ცოლად უნდა შეგირთეო, პირდებიოდა გაუბედურებულს, მაგრამ მიემალა. ამჟამდ დაუწყო ძიება „ბორისს“ ო-მ. სასოწარკვეთილებამდე მისულმა ოიდი დალია თვითმკვლელობის მიზნით. საქმეში მილიცია ჩაერია. ეძებენ „ბორისს“ და ნახეს კარლო ისაკის-ძე მედოლაშვილი. შეიტანა ახალი საქმე. მას ჭვეელი საქმე დაემატა, გასცდა და გაიბერა.

აქ სიტყვა პროკურატურას უნდა მივცემოდა, მაგრამ კარლოზე შედგენილი პირველი საქმე მოსპობილია თვით დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, ხოლო მეორე საქმეში ჩაბრძანებული დოკუმენტები ფაფადებენ ქალის შეცდენაზე, რაიც სისხლის სამართლის დანაშაულად არ აღიარებენა.

საქმეში ბაბუები, ბებიები, ბიეოოლები, ბიძეები, დეიდები და სხვათა და სხვათა კაცია მოზრდილი სეეტიც უნდა იყოს. ცოტა ღეაწლი როდი მოეძღვის მათ კარლოს სინდის-ნამუსისაგან გაწმენდაში, რის გამოც თვითონ ფრიად გაუუმეყიანდნენ. ამბობენ, მათი განსაბანი ანანო არა გვაქვსო.

უნდა მოვნახოთ ასეთი ანანო. ბბა ბუეყიანი ხომ არ იეყოლნ? ცოდონი არიან!

ხოლო კარლოს ანანო არ მოუხდება, თბილეა ერთობ და იქიდან ქუჩაში სახეტიალოდ გამოსვლისას, დაგრილავს უთუოდ. ცივი ზხაპები კი, ღმერთმანი, უთუოდ არგებს.

მიხეილ დიმელი

მანქანების გამამზნევებელი ... ...ში ქობულეთში შემავალ გზაზე.

ნახ. ... ...ისა

დაორობა სახლში მიტანით.

სცენები ბიუროკრატიის კაბინეტთან

სურათი I.

— არის ეიდრონი?

ეკეთხეს ეკეი და ოდნავ აჩეკარეკეული ნანეკეინი კარებისაკენ გაეგმარეკეა.

— მოიეკა! მოიეკა! — წინ გადაეიდგეკეა მდივანი.

—რა მოხდა?

— რომ დაალიარე თავი და შედიხარ, ჯერ მე უნდა მომახსენო, ეინა ხარ, სადეან ხარ და რატომ ხარ მოსეული?

— კი მაგრამ, მაშინ ეიდრონს რაკა მოკახსენო?

— ბეეერი ლაპარაკეეს თავი არა მაქეს. დაკაკეეზეულია!

— ჰეკეს ეინმე?

— აქ არა და სახლში კი.

— ახლა რას აკეეიეს?

— ეერა. იქნება ისიც მეკოხო, ეერილს ეერს თუ მონადირის მოგონეებეს-თქო.

სურათი II.

— შემოპრძანდითო!

— მრცხეენია.

— რისი ეერცხეენია, შე კაი კაცო, არ ეერცხეენია? რამ შეგაეეეეს?

— რიგმა.

— გამოიარე სამი დღის შემდეგ.

— სამშაბათს?

— მაგის გამოანგარიშებაზე მაინც შეიეეეე თავი. იმაზეეი მე ეიდრონო, სამი დღის შემდეგ სამშაბათი თუ შაბათი?

სურათი III.

— თქვენ ხომ იეყავი ჩემთან?

— ეიეყავი.

— რა ეითხარი თუ ეახსოვს?

— სამი დღის შემდეგო.

— დღეს მოეიეეა არა მაკეს. ალეერ ჩავიანინაეე და ოთხი დღის შემდეგ გამოიარეო!

— ოთხშაბათს?

— ჰმ...

სურათი IV.

— თქვენ ხომ იეყავით ჩემთან?

— ეიეყავი.

— კი მარა, ამ ბნის კაცს არც სამსახური გაეწეხებს და არც ოჯახი? რაა, ბოლოს და ბოლოს, ყოველ მესამე დღეს შეიძლება ადამიანის შეეწეხებაა? ხის თავი უნდა ეგას თქეენს ეამძღეს.

— ხომ დამიხარეთ?

— ანე რომ მოკახერეკენ ოაეს, არც უნდა გაეკეკეთ კაცმა არადერი... წაბრძანდით ახლა შინ და გამოვიძახებეთ.

— როდის?

— ა, კიდევ... მოეგასეეენეთ, თუ შეძეეეთ!

ეეკ ეკეეიდ.

ეეეერთსი ეეიდკეკეს შეკათითს აკეერს.

კარეეში თბილისის ეეეეკის ფაბრიკის მიერ გამოშეტეეული ეეინენის კარადისფერთმანანი გოგო ბაეინნეეეა.

ეეეერთსი — ის კაცი ალარ შემოეეეა ჩემთან.

ტ. მიშველაძე

ანეკდოტები

— როგორ ატარებთ, ჩემო ქეთევან, ამ ზაფხულს?

— ეჰ, ნულარ მკითხავ, ძვირფასო... მე და ბავშვები აგერ აგარაკზე ვკანკალებთ სიგრილეში. ქმარი კი თბილისში დარჩა და არხეინად ნებივრობს სითბოში.

* * *

— რა გტკივათ, ქალბატონო, წყლებზე სამკურნალოდ რომ ჩამობრძანებულხართ?..

— ყველაფერი, ექიმო...

— სამწუხაროდ, აქ მხოლოდ სახსრებს ვმკურნალობთ.

— აბა, ძვალი და რბილი გაყოფილი თუ არ მაქვს, აღარაფერი მეშველება?!

ნ. კანდელაკი

ნახ. ო. ჭიშკარიანისა

— კიდევ ვერ აუშენე მაგ ქეციან ძაღლს სადგომი?

— რა ვქნა, ხარჯთაღრიცხვას არ მიმტკიცებენ ოჯახში!

ანეკდოტები ბიბლიოთეკა

მოულოდნელად ტრამვაიში ტირილი მორთო დედაბერმა.

— რა მოგვიდათ, ბებო? — შეწუხდა გვერდით მჯდომი ახალგაზრდა.

— რა მოუვიდა და ფეხი დავაღგი შემთხვევით, ბოდიშიც მოვუხადე, მეტი რა მექნა, — დაასწრო პასუხი ბებიას გვერდით მდგომმა ბერიკაცმა.

— ბოდიში რას მიშველის, — ასლუკუნდა ბებია, — ზუსტად ასე იყო 40 წლის წინათ, კონკაში ფეხი დამადგა, იმას ვენაცვალე, მერე ბოდიში მომიხადა და სახლამდე მიმაცილა. მას მერე ოცდათვრამეტი წელი ერთ ბალიშზე კვედო თავი. აცხონა ღმერთმა შენი სული, შენი ჭირიმე, შენი, ჩემო დიმიტრი...

— აცხონა, აცხონა, — ამოიოხრა ყველამ.

ნ. მ.

ქარაგმული ნაკვესები

ცუდ მომღერალს სიმღერით თავი მოჰქონდა და ყურები მიჰქონდაო.

ცოლი ქმარს ეყრებოდა და მოდას მიჰყვებოდაო.

ფერმის გამგეს მთაშიც დოლი ჰქონდა და ბარშიც დოლზე ქეიფობდაო.

საწყობის გამგეს ავიწროებდნენ და ტყავში მაინც ვერ ეტეოდაო.

მოადგილე მმართველის პოსტს უმიზნებდა და თავისას უმიზნოდ აცდენდაო.

პროცესზე გამოსულ ვექილს ენა ექავებოდა და გულს იფხანდაო.

გამყიდველი სულ ხეირში იყო და სულ უხეიროს ეძახდნენო.

მლიქვნელი უფროსს ხათრს უნახავდა და ავტორიტეტს ულახავდაო.

აჩქარებული ექიმი ვერც თვითონ ჯდებოდა და ვერც დიაგნოზს სვამდაო.

შეადგინა გრ. ჩიქვილაძემ

მოდით, ნახეთ

„მოდინახე"-ს ძირას, სადაც
აკაკი ჩანგს აყლერებდა,
სტადიონი ააშენეს
გასახარად საჩხერელთა.

დრო გამოხდა... და რა მოხდა,
რად დაეტყო სიმარტოვე?!
თავკაცებმა სტადიონი
გასწირეს და მიატოვეს.

ჯერ მინდორი გადახუნდა,
მერე გატყდა გალავანი,
შიგ ნებაზე დანავარდობს
თხის და ღორის ქარავანი.

სწუხს ყვირილა, მოწყენილი
თავს დაჰყურებს „მოდინახე",
სტადიონი ნახირს დარჩა,
თუ არ გჯერათ, მოდით, ნახეთ.

გ. შავერზაშვილი

საგარაკო

ცხოვრებაში, მხოლოდ ერთხელ,
ეს ზაფხული ჩამმწარდა,
მე შინ დავრჩი და ცოლი კი
აგარაკზე წაბრძანდა.

სახლის კარი გამოვკეტე,
მივაკითხე რესტორანს,
სიხარულით შემეგება
მებუფეტე ნესტორაც!

— სად ხარ, ბიჭო, დაკარგული,
რომ არ ჩანდი აქამდე!
პენსიაში გახვედი თუ
მარხვა გამოაცხადე?...

რას მიირთმევ? მწვადი შევწვა,
სულგუნი თუ წიწილა? —
თქვა და უმალ ორი ბოთლი
ღვინო მოაცინცილა!

ენაც ისე გამიშალა,
თითქოს ღვიძლი ძმა იყო
და წიწილში ინდაურის
საფასური აიღო!

ბოლოს ყურში წავჩურჩულე:
— ნესტორ, ჩემო ძმობილო!
მარკის ფული დამიტოვე,
ცოლს რომ შევატყობინო!

ს. აბაიშვილი

გაიზიარეთ გამოცდილება

ჩვენო საყვარელო ამირან!

ღმერთმა გიშველოს ისე, როგორც შენ გვიშველე ასეთ ცხელ დღეებში. ჩვენ, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსაშვილის ქუჩის № 9 ბინაში მცხოვრები 150 ოჯახი აღფრთოვანებული ვართ შენი ზრუნვითა და უნიკალური გამოგონებით.

მართალია, ამოდენა ეზოში ერთი ციცქნა ადგილი არ გამოყავი მოზრდილთა დასასვენებლად და ბავშვების სათამაშოდ, მაგრამ სამაგიეროდ შვიდსართულიანი სახლის სარდაფი გამოიყენე რაციონალურად, აგერ ოთხ თვეზე მეტია, წყლით აგვივსე და დიდებული საცურაო და სათევზაო გაგვიკეთე. აფერუმ შენს ვაუკაცობას!

ვზივართ ახლა ანკესით ხელში, ხან დამხრჩვალ ძაღლს ამოვიყვანთ და ხან დამხრჩვალ კატას. ამბობენ, შენს თაოსნობას ორჯონიკიძის სახელობის რაიონის აღმასკომის ზოგიერთმა მუშაკმაც დაუჭირა მხარიო. ეს საფუძველს გაძლევთ პრემიაც მიიღოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სარდაფებს და შიგ მოთავსებულ მრავალგვარ ნივთსა და სურსათს სამუდამოდ დავემშვიდობეთ, ფეკალური წყალი საშინლად ყარს და ბინებში აღარ გვედგომება, კოღოებმა და მწერებმა ლამის დაგვჭამოს და მოსალოდნელი ეპიდემიური ინფექციის საშიშროების წინა ვდგავართ.

ჩვენ მაინც მადლობელი ვართ შენი. ამიტომ გადავწყვიტეთ, თუ ერთხელ მაინც დაგინახეთ ჩვენს ეზოში, პირველად შენ გაბანაოთ და შემდეგ იმ სანაგვესთან გაგაშროთ, რომელიც ერთი თვეა არ გაგიწმენდინებია.

გაიზიარეთ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის № 69 სახლმმართველის ამირან ძითაიშვილის გამოცდილება.

მოგბინადრენი

გარეთ ნიანგს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ნიანგო!

სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში. ხანდოს მთაზედ რომ კურორტის გაშენება იყო განზრახული, ამის შესაბამ რაიონული გაზეთი „წინსვლა“ გვატყობინებდა. კურორტი რომ არ გაშენდა, ამას, როგორც ჩანს, თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ ჩვენ, სოფლის მკვიდრებს, ძალიან გვაინტერესებს ის საკითხი, თუ რა მიზეზების გამო გადაიქცა პრობლემად ჩვენი გზის შეკეთება, რომელიც რამდენიმე ადგილას ავდარში საერთოდ გაუვალია, ხოლო კარგ ამინდში კი ყველა სახის ტრანსპორტს მაინც არ შეუძლია გავლა. თუკი ვინმეს ცუდ ამინდში ამ გზაზე გავლა უცდია, ტრაქტორის დახმარების გარეშე ვერ გადარჩენილა. ჩვენ სოფელს შესანიშნავი ბუნება, ჰავა და წყალი აქვს და, მით უმეტეს, საწყენია, რომ ასეთ შესანიშნავ სოფელს კეთილმოწყობა აკლია. სოფლის კლუბი სოფლსაბჭოს შენობის სარდაფშია მოთავსებული. ადრე დაგვპირდნენ, სინათლე გექნებათო, ჩვენ კი დღემდის მხოლოდ იმედებით ვცოცხლობთ. პურზე და სხვა საჭირო პროდუქტებზე რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გვიხდება სიარული. კინოსურათებსაც იშვიათად გვაჩვენებენ, მაშინ, როდესაც სხვა სოფლებში ავტობუსები ნორმალურად მოძრაობენ და კეთილმოწყობის მხრივაც ყველგან უკეთესი მდგომარეობაა. ძმაო ნიანგო, იქნება გვირჩიო რამე.

ა. მ. ჯინჭველაშვილი

სამტრედიის რ-ნი, სოფ. გამოჩინებული.

საყვარელო ნიანგო!

გთხოვთ ორიოდე წუთით მოგვისმინოთ დაბა ყვარლის მომხმარებლებს შეიძლება მეტისმეტ ცნობისმოყვარეობას მიაწერო ჩვენი სურვილები, მაგრამ ჩვენ მაინც გეტყვით სათქმელს. ჩვენ გვსურს, რომ ყვარლის მაღაზიებში შეძენილ საქონელს თავისი იარლიყები ახლდეს თან, ვიცოდეთ სახელმწიფო ფასი, ზომა, წონა და აგრეთვე ის, თუ ვისი გამოშვებულია ეს საქონელი. ნუ გაგვიწყრები, ძმაო ნიანგო, კიდევ ერთი სურვილი უნდა გადმოგცეთ. ჩვენ გვსურს, რომ ყვარლის მაღაზიებში დახლის ქვეშ არ იყიდებოდეს საქონელი და ყველა მომხმარებელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, ერთნაირი გულისხმიერებითა და ხელგაშლილობით ხვდებოდნენ გამყიდველები.

მომხმარებლები:

ბ. იახტნიშვილი
ე. ზაკალაშვილი
მ. იორდანიშვილი
თ. სეფაშვილი
ვ. ბოგინაშვილი

ძმაო ნიანგო!

ქ. ქუთაისის ლომონოსოვის ქ. № 10-ა მდებარე ბარაკის მობინადრეები გაწუხებთ და გვინდა, რომ ჩვენი გასაჭირი გაგიზიაროთ. ლომონოსოვის ქუჩაზე ჩვენი ბარაკის გარდა კიდევ სამი სხვა ბარაკი არსებობს, რომლებიც ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას ეკუთვნის. ჩვენი ბარაკი კი „საქსოფლტექნიკის“ სამტრედიის სამშენებლო სარემონტო სამმართველოს ეკუთვნის. ბარაკის მობინადრეები ვმუშაობთ სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში და „საქსოფლტექნიკის“ სამტრედიის სამშენებლო სარემონტო სამმართველოსთან არავითარი საერთო არა გვაქვს. არც ერთი ოჯახი არ ვიხდით ბინის ქირას, რის გამოც მოკლებული ვართ ელემენტალურ კომუნალურ მომსახურებას. არა მარტო ჩვენს, არამედ სხვა დანარჩენ სამ ბარაკშიც გამეფებულია საშინელი უსუფთაობა. არ გაგვაჩნია წესიერი ნაგვის ყუთები, დიდი ხანია ხმარებიდან გამოვიდა საერთო საპირფარეშო. წყლის ერთი ონკანი ემსახურება რამდენიმე მობინადრეს. დაღვრილი წყალი უერთდება იქვე დაყრილ ნაგავს და წამლავს ჰაერს. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ აცნობა „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოს უფროსს, რომ ბარაკი, სადაც ცხოვრობს 14 ოჯახი (44 სული), მოითხოვს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას, საერთო სარგებლობის ეზოში გამეფებულია ანტისანიტარია. საჭიროა მოსახლეობას გაეწიოს საჭირო კომუნალური მომსახურება. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის შესახებ „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოში.

იოსელიანი
ბერიძე
ბუცხრიკიძე
იაშვილი
უსპენსკი და სხვ.

ქუთაისის ლ ნ ნ ს ახალგაზრდა მაყურებლის ბიბლიოთეკა
№ 445
მიღებულია 1963 წელს
ინვ. № 4111

ყოვლისშემძლე ნიანგო!

ჩვენ, ავჭალელები, მეტად გაგვახარა იმ ამბავმა, რომ შენს ფურცლებზე 1963 წლის № 6-ში ავჭალის კეთილმოუწყობელი ქუჩების შესახებ დაიბეჭდა წერილი. მართალი რომ გითხრათ, დიდი იმედი გვქონდა, რომ სათანადო ორგანოები, სახელდობრ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონის აღმასკომი ყურადღებას მოგვაქცევდა და გზებს შეგვიკეთებდა, მაგრამ, ალბათ, შენ თვითონ კარგად გეცოდინება, რომ არავის თავი არ შეუწუხებია ამ საკითხის მოსაგვარებლად. ბოდიშს ვიხდით, ძმაო ნიანგო, რომ ხელმეორედ გაწუხებთ, მაგრამ იმედია, რომ არ დაგეზარება და კიდევ ერთხელ შეახსენებ მათ ჩვენი გაჭირვების შესახებ. კვლავ შენი იმედით ვცოცხლობთ, ჩვენო ნიანგო.

ავჭალელების სახელით

ლია ზაჰესელიძე

— თქვენი არ მიკვირს, ქეთინო, ერთი ბავშვი შეგეძინათ და მესამედ უხდით ძღობას?!

— რა ვქნა, გენაცვალე, ჩემს ქმარს მესამედ გამოუცვალეს უფროსი.

რედაქტორი ს. ფეფელაძე. სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 7/VIII-1963 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1633, უე 11906 ტირაჟი 40.000

63-4
ეროვნული
ბიბლიოთეკა
76137